



ბ ჰეპატიტი

თქვენ და თქვენი ბავშვი



თუ გაქვთ B ჰეპატიტი და ხართ ორსულად, გეგმავთ ორსულობას, თუ ახლახან გააჩინეთ ან უკვე გყავთ შვილები, ეს ბროშურა მოგაწვდით ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ დაიცვათ თქვენი შვილი და ბავშვები.

იმუნიზაცია ძალიან ეფექტურია B ჰეპატიტის ინფექციის პროფილაქტიკის დროს ჩვილებში და ბავშვებში.

რა არის ჰეპატიტი B?

ჰეპატიტი B არის ვირუსი, რომელიც აზიანებს ღვიძლს და რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული დაავადებები. ის ვრცელდება ინფიცირებული ადამიანის სისხლთან ან ბიოლოგიურ სითხეებთან კონტაქტით. B ჰეპატიტით დაავადებული ზოგიერთი ადამიანი არასოდეს იმკურნება ვირუსისგან და შეიძლება დარჩეს ინფიცირებული სიცოცხლის ბოლომდე. ეს არის B ჰეპატიტის ქრონიკული ინფექცია და ადამიანებმა, რომლებსაც ის აქვთ, შესაძლოა სხვები დააინფიცირონ. ქრონიკული B ჰეპატიტის ინფექციით დაავადებულ ზოგიერთ ადამიანს უვითარდება ღვიძლის მძიმე დაავადება. ქრონიკული B ჰეპატიტის ინფექციით დაავადებულ ზოგიერთ ადამიანს არ აქვს სიმპტომები და მათ შეუძლიათ ვირუსის გადადება სხვებზე ცოდნის გარეშე.

რა მოხდება, თუ ორსულად ვარ?

ორსულებს უნდა ჩაუტარდეთ ტესტი B ჰეპატიტზე. თუ დადებითი შედეგი გაქვთ, მეანმა ან ოჯახის ექიმმა შეიძლება გადაგამისამართოთ სპეციალისტთან.

რა საფრთხე ემუქრება ჩემს პატარას?

თქვენ შეგიძლიათ გადასდოთ B ჰეპატიტი თქვენს ბავშვს დაბადებისას ან დაბადებიდან მალევე, თუ ბავშვი არ არის ვაქცინირებული.

ბავშვებში, რომლებიც ადრეულ ასაკში დაინფიცირდნენ B ჰეპატიტით, აქვთ ქრონიკული ინფექციის მეტი რისკი. დაბადებიდან ინფიცირებული ბავშვების 90%-მდე ქრონიკულად ინფიცირდება, თუ არ არის აცრილი. ეს ხშირად იწვევს ჯანმრთელობის პრობლემებს უფრო გვიან ასაკში.

როგორ დავიცვა ჩემი ბავშვი?

საუკეთესო გზა თქვენი ახალშობილის B ჰეპატიტისგან დასაცავად არის იმუნიზაცია. იმუნიზაცია შედგება B ჰეპატიტის ვაქცინისა და B ჰეპატიტის იმუნოგლობულინისგან (HBIG).

- B ჰეპატიტის ვაქცინის პირველი დოზა და B ჰეპატიტის იმუნოგლობულინის (HBIG) დოზა უნდა გაუკეთდეს თქვენს პატარას დაბადებიდან მალევე.
- დარწმუნდით, რომ თქვენი ბავშვი იყო ვაქცინირებული შემდეგი დოზებით - როგორც წესი, ორი, ოთხი და ექვსი თვის ასაკში, როგორც ბავშვთა ვაქცინაციის რეგულარული გრაფიკის მიხედვით.
- თქვენი ოჯახის ექიმი ან პედიატრი აიღებს სისხლის ანალიზს ვაქცინის კურსის დასრულებიდან ორი თვის შემდეგ, რათა შეამოწმოს არის თუ არა თქვენი ბავშვი ინფიცირებული. თუ თქვენი ბავშვი არ არის ინფიცირებული, სისხლის ტესტი ადასტურებს, რომ თქვენი ბავშვი დაცულია ვაქცინით.
- ჩვილების 95%-ზე მეტი, რომლებიც იკეთებენ B ჰეპატიტის ვაქცინაციას სრულად და B ჰეპატიტის იმუნოგლობულინს, დაცულები არიან B ჰეპატიტისგან.

დარწმუნდით, რომ თქვენს ბავშვს გაუკეთდა B ჰეპატიტის ვაქცინის სრული კურსი საჭირო დროს, რათა ის იყოს დაცული.

არის თუ არა B ჰეპატიტის ვაქცინა უსაფრთხო?

- B ჰეპატიტის ვაქცინა უსაფრთხო და ეფექტურია.
- გვერდითმა მოვლენებმა შეიძლება გამოიწვიონ ტკივილი და სიწითლე ინექციის ადგილას.
- B ჰეპატიტის ვაქცინა შეიძლება გაკეთდეს ბავშვობის სხვა ვაქცინებთან ერთად.
- B ჰეპატიტის ვაქცინა არ არის სისხლის შემადგენლობის პროდუქტი.

- B ჰეპატიტის ვაქცინით, ვირუსით დაავადება გამორიცხულია.

რა არის B ჰეპატიტის იმუნოგლობულინი?

- B ჰეპატიტის იმუნოგლობულინი (HBIG) შეიძლება უზრუნველყოს ადრეული დაცვა ინფექციის მაღალი რისკის მქონე ადამიანებისთვის, როგორცაა ინფიცირებული დედების ახალშობილები.
- ეს არის სისხლის შემადგენლობის პროდუქტი. სისხლის დონორებს გულდასმით უტარებენ სკრინინგს. სისხლის შემოწმება და მკურნალობა ხდება ინფექციის რისკის შესამცირებლად.
- ის არ უშლის ხელს ჩვილობის პერიოდში გაკეთებულ სხვა ვაქცინებს.

საკეისრო კვეთა არ იცავს თქვენს პატარას B ჰეპატიტიდან.

ძუძუთი კვება უსაფრთხოა თქვენი ბავშვისთვის. B ჰეპატიტი დედის რძით არ ვრცელდება.

როგორ დავიცვა ჩემი სხვა ბავშვები?

ბავშვები, რომლებიც ცხოვრობენ ერთ ოჯახში ქრონიკული B ჰეპატიტის მქონე ადამიანებთან ერთად, შეიძლება დაინფიცირდნენ.

B ჰეპატიტი შეიძლება გავრცელდეს ინფიცირებული ბავშვისგან ან ზრდასრულიგან თქვენს სხვა ბავშვებზე, თუ ისინი არ არიან ვაქცინირებულები. გაუკეთეთ ვაკცინაცია თქვენს სხვა ბავშვებს, რათა დაიცვათ ისინი ინფექციისგან. თუ თქვენ ან თქვენს სახლში ვინმეს გაქვთ B ჰეპატიტი, მიიყვანეთ თქვენი შვილები ოჯახის ექიმთან ვაკცინაციისთვის.

- B ჰეპატიტის ვაქცინა არის უსაფრთხო, ეფექტური და თქვენი საუკეთესო დაცვა. ვაქცინა კეთდება სამი ინექციის კურსით. სამი ინექციის შემდეგ, ზოგჯერ შეიძლება ჩატარდეს სისხლის შემოწმება, რათა შემოწმდეს, ხართ თუ არა ახლა დაცული. გვერდითი ეფექტები შეიძლება გამოიხატოს ინექციის ადგილას მკლავის ტკივილით და სიწითლით.
- თუ ორსულად ხართ ან გსურთ დაორსულდეთ, უმჯობესია ექიმთან განიხილოთ ეს საკითხი ვაკცინაციის დაწყებამდე.

- არ დაუშვათ ბავშვები შეეხონ B ჰეპატიტით დაავადებული ადამიანის სისხლს ან ბიოლოგიურ სითხეებს, ან ამით დაბინძურებულ ქსოვილებს.
- თუ ბავშვებს ქონდათ შეხება B ჰეპატიტის ინფექციის მქონე პირის სისხლთან და არ იყვნენ დაცული ინფექციისგან ვაქცინაციით, ისინი შეიძლება გადარჩნენ B ჰეპატიტისგან, თუ დროულად გაივლიან მკურნალობას. თქვენ უნდა მიიყვანოთ ბავშვი თქვენს ექიმთან ან გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში და თქვათ, რომ მას ჰქონდა კონტაქტი B ჰეპატიტთან. ისინი გაუკეთებენ მათ B ჰეპატიტის იმუნოგლობულინის (HBIG) ინექციას და დაიწყებენ B ჰეპატიტის ვაქცინის კურსს.
- არასდროს გაუზიაროთ კბილის ჯაგრისები, საპარსები, ნემსები, ფრჩხილის ქლიბი და სხვა აქსესუარები, ფრჩხილის მაკრატელი, ტილოები ან პირსახოცები B ჰეპატიტის ინფექციით დაავადებულ პირს.

B ჰეპატიტის გავრცელება შეუძლებელია

- • ცემინებით ან ხველებით
- • კოცნით ან ჩახუტებით
- • ძუძუთი კვებით
- • საკვებით ან წყლით
- • ჭურჭლის ან ჭიქების გაზიარებით
- • შემთხვევითი კონტაქტით (როგორცაა სამსახურში)

თქვენ არ უნდა მოერიდოთ ბავშვის მოვლას, სკოლას, სამსახურს ან სხვა საქმიანობას, რადგან გაქვთ B ჰეპატიტი.

გახსოვდეთ:

დარწმუნდით, რომ თქვენმა ბავშვმა დაასრულოს B ჰეპატიტის ვაქცინის კურსი საჭირო დროს, რათა იყოს დაცული.

როგორ შემიძლია გავიგო მეტი?

B ჰეპატიტის შესახებ სასარგებლო ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი წყაროებიდან:

- თქვენი ოჯახის ექიმისგან
- HSE-ს ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტისგან

B ჰეპატიტის შესახებ სხვა ბუკლეტების მიღება შეგიძლიათ შემდეგ ვებსაიტებზე:

- www.hpsc.ie
- www.cdc.gov/hepatitis/hbv
- www.who.int
- www.immunisation.ie



გამოცემის თარიღი: 2017 წლის აპრილი

ავტორები: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მედიცინის გადამდები დაავადებათა ჯგუფის ჰეპატიტის სამუშაო ჯგუფი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანმრთელობის დაცვის ზედამხედველობის ცენტრის დეპარტამენტები, ჯანდაცვის სამსახურის აღმასრულებელი.